საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 5 22 03091670

03/11/2022

მოქალაქე მილანა ხუბუას
ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-1118-fbdefb7d@askgov.ge

ქალბატონო მილანა,

2022 წლის №2902555 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინფორმაციით, დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის გათვალისწინებით, როგორც თქვენთვის ცნობილია, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მონიტორინგს გამოძიების დაწყებისთანავე, ყოველდღიურ რეჟიმში, მიღებული შეტყობინებებისა და სისხლის სამართლის საქმეების ელექტრონულად შესწავლის გზით ახორციელებს. მონიტორინგის პროცესში ხდება შემთხვევების გაანალიზება, გამოწვევებსა და ტენდენციებზე დაკვირვება, რის შესაბამისადაც, მზადდება სხვადასხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები და რეკომენდაციები.

სამინისტრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა აღრიცხვიანობას. სტატისტიკის დამუშავებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 2020 წლის 23 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) შორის გაფორმებულ მემორანდუმს, რომლის მიზანიც, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა შეგროვების ერთიან მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სისტემის შექმნაა.

მითითებული მემორანდუმის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს 20 თებერვლისა, საქსტატს მიაწოდონ წინა წლის 1 იანვრიდან 31

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

დეკემბრის ჩათვლით პერიოდის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი ანგარიშის გამოსაცემად საჭირო მემორანდუმის დანართით განსაზღვრული მონაცემები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო თავის მხრივ, საქსტატი ვალდებულია, ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა, შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს წინა წლის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკური ანგარიში.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სამინისტროს მიერ აღსარიცხი ერთეულებია:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაწყებულ გამოძიებათა რაოდენობა;
- გამოძიების დაწყების მუხლი;
- დისკრიმინაციის ნიშანი.

მხარეებმა, პირველი, საპილოტე ანგარიში 2021 წლის 1 მარტს გამოაქვეყნეს, რომელიც 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ დამონიტორინგებულ 246 სისხლის სამართლის საქმეს მოიცავდა.

2022 წლის 1 მარტს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში გამოქვეყნდა. მოცემულ პერიოდში, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ დამონიტორინგდა - 1703 სისხლის სამართლის საქმე.

შესაბამისად, მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აღრიცხული მონაცემები გამოქვეყნდება 2023 წლის 1 მარტს.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი და სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის
მოადგილე
თათია ცეცხლაძე